საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-478

11/06/2020

ქ. თბილისი

„შპს „ლელიკოს“ ფეროშენადნობთა საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 16 აგვისტოს №2-690 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

2020 წლის 18 მაისს სამინისტროს მომართა შპს „სი-ემ-ენ ინდუსტრის“ დირექტორმა შპს „ლელიკოს“ საფირმო სახელწოდების ცვლილების შესახებ.

2018 წელს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შპს „ლელიკოს“ ფეროშენადნობთა საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე გაიცა №2-690 გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

2020 წლის 15 მაისს შპს „ლელიკომ“ შეიცვალა საფირმო სახელწოდება და ჩამოყალიბდა შპს „სი-ემ-ენ ინდუსტრის“ სახელით (იგივე საიდენტიფიკაციო ნომრით), რაც დასტურდება სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერით.

ზემოაღნიშნული გარემოებისა და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შპს „ლელიკოს“ ფეროშენადნობთა საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცეს შპს „სი-ემ-ენ ინდუსტრიზე“;
2. შპს „სი-ემ-ენ ინდუსტრიმ“ საქმიანობა განახორციელოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 16 აგვისტოს №2-690 ბრძანებით დამტკიცებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული პირობების დაცვით;
3. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცეს განუსაზღვრელი ვადით;
4. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განხორციელდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;

5. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „სი-ემ-ენ ინდუსტრის“;
6. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „სი-ემ-ენ ინდუსტრის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
7. ბრძანების გაცემიდან 3 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
8. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი